პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 5 (488) მაისი 1986 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

111. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

112. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ა. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

113. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სოციალური სამართლიანობის პრინციპის განსახორციელებლად რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ.

114. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა აცდენაში საზოგადოებრივ ფორმირებათა აქტიურობისა და როლის ასამაღლებლად თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის შესახებ.

### განყოფილება მეორე

115. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ო. ჭრელაშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

116. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. ციხისელის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

117. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. პ. აფაქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

118. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. კ. ბაბუნაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

119. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ნ. ბარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

120. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ს. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

121. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ბ. იმნაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

122. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ბ. ქანთარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

123. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ა. ცაგარელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

124. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ფ. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

125. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. მ. ჯორბენაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

126. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძის ობიექტების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

127. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. შ. იმნაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

128. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ლ. ქვარცხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

129. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. მ. შაკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

130. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. პ. ტაბატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

131. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

132. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იაკუტიის პ. ოიუნსკის სახელობის დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

133. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მსახიობთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

134. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ინგურის კომპლექსური ჰიდროკვანძის ობიექტების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

135. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სტუდენტთა ქორეოგრაფიულ სახალხო ანსამბლ „გორდასთვის" „საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

136. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. გ. სალუქვაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

137. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სოხუმის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

138. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მსახიობებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

139. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ხიდეშელისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ე. ს. მალაზონიასა და შ. ლ. ქიბტაურის გაწვევის შესახებ.

ცალკეულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 111 ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაინიშნოს ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 8 მაისი.
№ 739—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 112 ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაინიშნოს ამხ. ომარ გიორგის ძე **ვარძელაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 8 მაისი.
№ 740—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 113 სოციალური სამართლიანობის პრინციპის განსახორციელებლად რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ქ. შ. ბაქრაძის ინფორმაცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სკკპ XXVII ყრილობის საპროგრამო მითითებებიდან გამომდინარე, ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც გამიზნულია სოციალური სფეროს შემდგომ განსავითარებლად, სოციალური სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად.

ქალაქში ფართოვდება საბინაო მშენებლობა. მეთერთმეტე ხუთწლედში საექსპლუატაციოდ გადაეცა 337,3 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 44,2 ათასი კვ. მეტრით მეტი, ვიდრე მეათე ხუთწლედში. ლიკვიდირებულია ბარაკები, 550-ზე მეტი ოჯახი შესახლებულია კეთილმოწყობილ ბინებში.

ქალაქის ადგილობრივი და ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა წილობრივი მონაწილეობით სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე მეათე ხუთწლედთან შედარებით დახარჯულია 32 მილიონი მანეთით მეტი. მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში აიგო სამი სკოლა, ხუთი ბაგა-ბაღი, ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოსა და ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკის, საავადმყოფოთშორისი ცენტრალური აფთიაქის შენობები, მთავრდება ბავშვთა პოლიკლინიკის მშენებლობა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური მომსახურება. ამოქმედდა ხრამი-რუსთავის ახალი წყალსადენი, რითაც გადაწყდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა: მოწესრიგდა თბომომარაგების საკითხიც.

მეტი ყურადღება ეთმობა კულტურული დანიშნულების ობიექტებს. რეკონსტრუირებულია კულტურის სასახლე, სტადიონი; მთავრდება 500-ადგილიანი ახალი კინოთეატრის მშენებლობა.

გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. მწყობრში ჩადგა სავაჭრო ცენტრი, უნივერსამი, გასტრონომიული და ხილბოსტნეულის საფირმო მაღაზიები. ბევრ საწარმოში კარგად არის ორგანიზებული საზოგადოებრივი კვება. მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ცალკეულ საამქროებში მუშებს აქვთ გაიაფებული და სპეციალური კვება, ხოლო მეტალურგიული ქარხნისა და საწარმოო გაერთიანება „აზოტის" სასადილოში — უფასო სადილები. 1983 წლიდან ერთ წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან უფასო რძით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა რიცხვი. მათში გაერთიანებულია ქალაქის 82 საწარმოსა და ორგანიზაციის 6.600-ზე მეტი ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიდი სამამულო ომის ინვალიდების, დაღუპულ მეომართა ოჯახების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. 1985 წლამდე აღრიცხვაზე აყვანილი ყველა სამამულო ომის ინვალიდი დაკმაყოფილებულია ბინით.

უფრო შედეგიანი გახდა მუშაობა სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რუსთავის საქალაქო საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობა სრულად ვერ უპასუხებს პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებს. ჯერ კიდევ არასაკმარისად ქმედითია სოციალურ სფეროში ხარისხობრივი ძვრების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებანი, აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ სუსტად ზემოქმედებს ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხების გადაწყვეტაზე. 1985 წელს აუთვისებელი დარჩა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი დაახლოებით 2 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 სახლსაშენებელი კომბინატის რეკონსტრუქციის გაჭიანურების გამო შეფერხდა ახალი სერიის საცხოვრებელი სახლების პროექტების დანერგვა. სრულად არ გამოიყენება ქალაქის საწარმოთა შესაძლებლობანი სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების საკითხების გადაწყვეტაში. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო არ იჩენს საჭირო სიმტკიცეს, რათა საწარმოთა, მათ შორის ზემდგომი დაქვემდებარებისაც, რეზერვები უფრო სრულად იქნეს გამოყენებული სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასადიდებლად. ბევრი საქონლის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას.

საქალაქო საბჭო ჯერ კიდევ დუნედ გარდაქმნის მუშაობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების განსახორციელებლად, რაც მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის, საზოგადოების პოლიტიკური სიმტკიცის, განვითარების დინამიზმის მნიშვნელოვანი პირობაა.

ქალაქის ცალკეულ საწარმოებში კვლავ დაბალია შრომის ანაზღაურების მასტიმულირებელი როლი, არასაკმარისად ეფექტიანად გამოიყენება სოციალისტური შეჯიბრების, ბრიგადული იჯარის, მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემათა შესაძლებლობანი, რომლებიც გამიზნულია თითოეული მუშაკისა და საწარმოო კოლექტივის შრომითი ძალისხმევის გასაძლიერებლად, შრომის ყველაზე მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევით მშრომელთა დაინტერესების ასამაღლებლად.

საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ქალაქის პროფკავშირული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ უთმობენ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სამართლიანი განაწილების პრინციპის დაცვას; ამ საკითხების გადაწყვეტაში ყოველთვის როდი მონაწილეობენ შრომითი კოლექტივები; ნაკლებად იცავენ საჯაროობას. ამიტომ სერიოზული დარღვევებია ბინების, სანატორიუმის საგზურებისა და სხვ. განაწილებაში. მაგალითად, ლითონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქციების ქარხანაში, ლუდისა და ხილეულის წყლების კომბინატში. პურკომბინატში ადგილი აქვს საბინაო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს.

არის შემთხვევები, როდესაც საწარმოები და ორგანიზაციები მუშა-მოსამსახურეებს ბინას აძლევენ აღმასკომთან შეუთანხმებლად და ორდერის გარეშე ბინებში ჩასახლების ნებას რთავენ.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საყოფაცხოვრებო სამსახურის, კომუნალური მეურნეობისა და ვაჭრობის ორგანიზაციას. ცალკეულ საწარმოებში არადამაკმაყოფილებელია მუშათა კვება, ძვირია კერძები, არასაკმარისია დასაჯდომი ადგილების რაოდენობა, დაბალია სანიტარიული კულტურის დონე.

ზოგიერთი თანამდებობის პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და პროფკავშირული კომიტეტების წაყრუების, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სუსტი კონტროლის შედეგად უხეში დარღვევებია მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის საქმეში; ზოგჯერ საპენსიო დოკუმენტაცია ფორმდება დიდი დაგვიანებით და უხარისხოდ; მეტალურგიულ ქარხანაში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტში და სხვაგან ხელოვნურად იქმნება მომატებული პენსიების დანიშვნის წანამძღვრები.

საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად არ ეწევა საჭირო მუშაობას წარმოებაში უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების მკაცრად დაცვისა და უბედური შემთხვევების აცდენის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, მარტო საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ უკანასკნელ ორ წელიწადში იყო საწარმოო ტრავმატიზმის 34 შემთხვევა მძიმე შედეგებით; არის ხელფასის დიდი დაგვიანებით გაცემის მრავალი ფაქტი (ცემენტის ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტი, სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველო „ცენტრმეტრემონტი“ და სხვ.).

საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მუდმივი კომისიები, მიკრორაიონთა საბჭოები, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები, მილიციის უბნის ინსპექტორები კვლავ არასაკმარის მუშაობას ეწევიან საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად; შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს საქმიანობა ქალაქში სამართალდარღვევათა ასაცდენად და ანტისაზოგადოებრივ გამოვლენებთან ბრძოლის ქმედითობის ასამაღლებლად. ქალაქის მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილი ჯერ კიდევ ჩაუბმელია საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, კვლავ მაღალია რეციდივული დამნაშავეობის დონე.

ქალაქის მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში (საბინაო მეურნეობის ტრესტი, კეთილმოწყობის კომბინატი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და სხვ.) არ იცავენ მოქალაქეთა მიღების წესს, საჭირო ზრუნვას არ იჩენენ მათ მიერ დაყენებული საკითხების მოსაგვარებლად. გასაუმჯობესებელია მოქალაქეთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა. 1985 წლის განმავლობაში საქალაქო საბჭოში შემოსული 2.963 განცხადებიდან 539 განხილულია ვადის დარღვევით. რიგ შემთხვევებში ღრმად და საქმიანად არ შეისწავლება მშრომელთა წერილები, არ ანალიზდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩივრების გამომწვევი მიზეზები, ამ მუშაობაში არასაკმარისად არიან ჩაბმული საქალაქო საბჭოს დეპუტატები და ქალაქის პროფკავშირული ორგანიზაციები.

ზოგიერთ საწარმოში შეინიშნება პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით კადრების შერჩევისა და განაწილების პრინციპის დარღვევის შემთხვევები. ხშირად საწარმოთა საამქროებისა და სამსახურების უფროსებად კოლექტივისა და პროფკავშირის კომიტეტის გვერდის ავლით ინიშნებიან სუსტი, ნაკლებად კვალიფიციური მუშაკები.

ქალაქის რიგ საწარმოებში (მეტალურგიული ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „აზოტი", „ქიმბოჭკო" და სხვ.) დაკნინებულია შრომითი კოლექტივების როლი, ნაკლებად გამოიყენება მათი შესაძლებლობანი წარმოების ინტენსიფიკაციის, შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, კოლექტივის წევრთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარების, მათი მაღალი მორალური პრინციპების სულისკვეთებით აღზრდის, ყველა სახის ბოროტმოქმედების აღკვეთის, მატერიალური სიკეთის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის საქმეში.

ძალზე არასაკმარისია სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის მუშაობა მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საქმიანობის გააქტიურებისათვის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების განსახორციელებლად; ყოველთვის ჯეროვნად როდი იღვწიან ამ საქმეში შრომითი კოლექტივების როლის ასამაღლებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭომ განუხრელად იხელმძღვანელოს სკკპ XXVII ყრილობის მითითებებით და უზრუნველყოს პარტიის სოციალური პოლიტიკის ცხოვრებაში თანამიმდევრულად გატარება, უფრო სრულად გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, მიიღოს ქმედითი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; დიდმნიშვნელოვან პრაქტიკულ ამოცანად მიიჩნიოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპის სრულად განხორციელების შესახებ პარტიის საპროგრამო მოთხოვნის განუხრელი შესრულება, ვინაიდან ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საბჭოთა ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარის თვისებრივი გაუმჯობესება, ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ყველაზე სრული დაკმაყოფილება; ამ მიზნით:

მტკიცედ განახორციელოს სოციალიზმის ძირითადი პრინციპი; „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით", რომელშიც მდგომარეობს ჩვენი საზოგადოების სოციალური სამართლიანობის არსი; თანამიმდევრულად შეასრულოს პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ მკაცრად იქნეს დაცული ხელფასის დამოკიდებულება გაწეული მუშაობის მოცულობასა

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხარისხზე და რომ საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ.

უზრუნველყოს თავისი ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობა; მკაცრი კონტროლი დააწესოს საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმების უთუო შესრულებისადმი; აამაღლოს მომთხოვნელობა მშენებლობის ხარისხისადმი; უფრო სრულად გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ქალაქის ადგილობრივი და ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალური სფეროს განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის მისაზიდად;

უფრო ეფექტიანად გამოიყენოს სოციალისტური შეჯიბრება თითოეულ შრომითს კოლექტივში მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის ვითარების შესაქმნელად, საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, მთელი მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; უზრუნველყოს წარმოების ნოვატორთა გამოცდილების, სასარგებლო თაოსნობათა ფართო გავრცელება;

ყველანაირად შეუწყოს ხელი შრომის პროგრესული ფორმების დანერგვას (სანარდო სახელფასო, ბრიგადული იჯარა, სამეურნეო ანგარიში); მუდმივად იზრუნოს წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის განახლებისათვის, თანამიმდევრულად შეამციროს საწარმოო დარგებში ხელით შრომის წილი, შექმნას თითოეულ შრომითს კოლექტივში სრულფასოვანი მაღალმწარმოებლური შრომის საჭირო პირობები;

გააქტიუროს ორგანიზატორული საქმიანობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად, მასზე მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით; უფრო სრულად გამოიყენოს ადგილობრივი რეზერვები და დამატებითი შესაძლებლობანი; მკაცრი მოთხოვნები წაუყენოს სამეურნეო ხელმძღვანელებს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისათვის;

განუხრელად სრულყოს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილების სისტემა, შეუქმნას საუკეთესო მუშაკებს რეალური უპირატესობანი; მიაღწიოს, რომ განაწილების მექანიზმი იქცევს უშრომელი შემოსავლის დაბრკოლებად; უზრუნველყოს ფონდების განაწილება საჯაროობის, ფართო განხილვის პირობებში.

ამ საქმეში ყველანაირად გააფართოოს თანამოქმედება პროფკავშირულ ორგანიზაციებთან; მტკიცედ მიაღწიოს შრომითი კოლექტივების როლის შემდგომ ამაღლებას მატერიალური სტიმულირების, შრომის ანაზღაურების ფორმების სრულყოფის, მორალური და მატერიალური წახალისების ზომების გამოყენებისას გათანაბრების აღკვეთის საკითხების გადაწყვეტაში;

ჯეროვანი წესრიგი დაამყაროს ბინების განაწილებაში, მკაცრად დაიცვას საბინაო კანონმდებლობა; უზრუნველყოს ამ საქმეში ფართო საჯაროობა და შრომითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობა;

ყოველდღიური ყურადღება დაუთმოს მოსახლეობის მომსახურე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობას; განუხრელად აამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღლოს მომსახურების კულტურა, მიაღწიოს მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების მოცულობის მუდმივ გადიდებას;

მიიღოს ზომები საწარმოებში, ორგანიზაციებსა და სასწავლებლებში საზოგადოებრივი კვების ძირეული გაუმჯობესებისათვის;

იღვაწოს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური მუშაობის, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის დონის ამაღლებლად;

მუდმივად იზრუნოს ქალებისათვის შრომის შეღავათიანი პირობების შესაქმნელად; გამოძებნოს დამატებითი შესაძლებლობანი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, გახანგრძლივებული დღის სკოლების ქსელის გასაფართოებლად;

უკომპრომისო ბრძოლა აწარმოოს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ. ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელოს „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით;

უზრუნველყოს საბჭოთა კანონებისა და ადამიანთა უფლებების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერება, მართლწესრიგის განმტკიცება და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება;

ყოველდღიური ყურადღება მიაქციოს მუშაობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომ გაღრმავებას, განვითარებასა და სრულყოფას, საჯაროობის გაფართოებას, საჭირო პირობების შექმნას სახელმწიფო, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

გადაწყვეტილებათა მიღების დროს გაითვალისწინოს საზოგადოებრივი აზრი, შეუნელებელი ყურადღება დაუთმოს ამომრჩეველთა განაწესების, მშრომელთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციას;

ძირეულად გააუმჯობესოს მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვა, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია; დროული რეაგირება მოახდინოს მათ თხოვნაზე, ზუსტი პასუხი გასცეს თითოეულ წერილობით და ზეპირ მიმართვას.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ანიჭებს რა უდიდეს მნიშვნელობას სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიის სოციალური პოლიტიკის ცხოვრებაში განუხრელად გატარებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას, საჭიროდ თვლის ეს დადგენილება დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და დაევალოთ მათ ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სოციალური სამართლიანობის პრინციპის უცილობლივ სარეალიზაციოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ (ამხ. კ. თ. სალია) რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად დასახოს ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელის გასაფართოებლად და მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებისათვის.

4. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის უნიფიცირებულ ნაწარმთა ბაზაზე ქ. რუსთავის სახლსაშენებელი კომბინატისათვის შემუშავებულია საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობის პროექტი, რომელიც პირველად ინერგება რესპუბლიკაში და საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ტექნოლოგიური მოწყობილობა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ (ამხ. დ. ე. მანჯგალაძე) მიიღოს ქმედითი ზომები № 6 სახლსაშენებელი კომბინატის რეკონსტრუქციის დასაჩქარებლად.

5. რჩევა მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან მჭიდრო თანამოქმედებით მიაღწიოს შრომითი კოლექტივების როლის ყოველმხრივ ამაღლებას საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში, მათ მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების უფრო სრულად განხორციელებას; გააძლიეროს კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი;

მიიღოს შესაბამისი ზომები სოციალური საკითხების გადაწყვეტის, შრომით კოლექტივებში სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელების საქმეში საქალაქო და რაიონული საკოორდინაციო საბჭოების, პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტებისა და საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროფკომიტეტების აქტიურობის ასამაღლებლად.

6. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭომ ამ დადგენილების შესრულების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის 15 მაისისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 29 მაისი.

№ 773—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 114 საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა აცდენაში საზოგადოებრივ ფორმირებათა აქტიურობისა და როლის ასამაღლებლად თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის შესახებ

მოისმინა რა თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ი. დ. მეგულაშვილის ინფორმაცია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა აცდენაში საზოგადოებრივ ფორმირებათა აქტიურობისა და როლის ასამაღლებლად თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის საპროგრამო მოთხოვნებს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების შემდგომი განვითარების შესახებ, გარკვეული მუშაობა გასწიეს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრივ ფორმირებათა საქმიანობის გააქტიურებისათვის.

მიღებული ზომების შედეგად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი ფორმირების ხელმძღვანელთა ხარისხობრივი შემადგენლობა, განმტკიცდა მათი კავშირი და კონტაქტები საბჭოების მუდმივ კომისიებსა, დეპუტატთა ჯგუფებსა, აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომისიებსა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომით კოლექტივებთან. უფრო კონკრეტული და მიზანმიმართული გახდა ფორმირებათა საქმიანობა, ამაღლდა მათი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციაში, გაიზარდა მათდამი მომთხოვნელობა რაიონში საერთო ოპერატიული ვითარებისა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატისათვის.

ამასთან რაიონის საზოგადოებრივ ფორმირებათა მუშაობის დონე და ეფექტიანობა სრულად ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს.

მთელი რიგი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობა მოკლებულია სისტემატურობასა და კომპლექსურობას; ისინი ორგანიზაციულ, აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ხშირად ახორციელებენ ფორმალურად, ნაჩქარევად, მოუმზადებლად და რაიონში საერთო ოპერატიული ვითარების გაუთვალისწინებლად; სუსტი კავშირი და კონტაქტები აქვთ ადმინისტრაციულ ორგანოებთან; სახალხო რაზმეულების რაიონული შეკრებები და დათვალიერება ტარდება იშვიათად და არასათანადო დონეზე.

თეთრი წყაროს საქალაქო, მანგლისის სადაბო, ასურეთისა და კოდის სასოფლო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები არასაკმარისად იყენებენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შესაძლებლობებს ლოთობასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულიგნობასა, მუქთახორობასა, სოციალისტური საკუთრების დატაცებასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში.

ორბეთის, ბორბალოს, ირაგის, ჯორჯიაშვილისა და სხვა სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე სახალხო რაზმეულები ნაკლებად უწყობენ ხელს ადგილობრივ საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებს იმ ოჯახური და მეზობლური საყოფაცხოვრებო კონფლიქტების გამოვლენასა და დროულად მოწესრიგებაში, რომელთაც ხშირად გაჭიანურებული ხასიათი აქვთ და მძიმე შედეგები მოჰყვებათ. 1985 წელს რაიონში საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე ჩადენილ იქნა რამდენიმე დანაშაული, მათ შორის: მკვლელობა — სოფ. ლასტისციხეში, სხეულის მძიმე დაზიანება ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენებით — ქ. თეთრწყაროში, სოფ. სოფ. წინწყაროში, ერტისსა და საფუძრებში, სხეულის მსუბუქი დაზიანება — დაბა მანგლისსა და სოფ. არდისუბანში.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა ასაცდენად საჭირო ზომებს არ იღებენ სახალხო რაზმეულები სოფ. წინწყაროსა და ზოგიერთ სხვა ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზე.

სერიოზული ნაკლოვანებებია საზოგადოებრივ ადგილებში მორიგეობისა და პატრულირების საქმეში. კვლავ ხშირია შემთხვევები, როდესაც სატყეო მეურნეობის, რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის № 12 საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოს, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მანგლისის ფილიალის, საცდელ-ექსპერიმენტული ქარხნის და სხვ. რაზმელებმა ჩაშალეს, დროზე ადრე მიატოვეს მორიგეობა, ან დროულად არ გამოვიდნენ სამორიგეოდ. ამგვარი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები საჭირო ყურადღებას არ უთმობენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობას.

დაბალია სამართალდარღვევებისადმი მიდრეკილ პირებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის დონე.

რაზმელთა უმრავლესობა თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს იშვიათად აბარებს მათთვის რეკომენდაციის გამწევ შრომითს კოლექტივებს. ნაკლებად გამოიყენება თავგამოჩენილ რაზმელთა მორალური და მატერიალური წახალისების ზომები. სერიოზული ნაკლოვანებებია სახალხო რაზმელთა სწავლების ორგანიზაციაში, მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებასა და პროპაგანდაში.

კვლავინდებურად უმნიშვნელოა ამხანაგური სასამართლოების როლი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში, დისციპლინისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფაში, კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდაში. მეტი წილი ამხანაგური სასამართლოები იშვიათად იხილავენ საქმეებს საკუთარი ინიციატივით (რაისაავადმყოფო, საყოფაცხოვრებო კომბინატი, დმანისის, ასურეთის, წინწყაროს სასოფლო საბჭოები და სხვ.), ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არღვევენ შემოსული მასალების განხილვის ვადებს, სუსტ მუშაობას ეწევიან სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის. ახალსოფლის, ორბეთისა და თონეთის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ამხანაგურ სასამართლოებს 1985 წლის განმავლობაში არც ერთი საქმე არ განუხილავთ.

მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები, სათანადოდ არ აფასებენ რა ამხანაგური სასამართლოების აღმზრდელობითს როლს, როგორც წესი, მათ არ გადასცემენ შრომის დისციპლინის დარღვევების, სოციალისტური საკუთრების წვრილმანი დატაცების და სხვ. საქმეებს (ირაგის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, სამშვილდის საბჭოთა მეურნეობა, მარაბდის საკონსერვო ქარხანა, თეთრი წყაროს ხორცკომბინატი და სხვ.).

ჯეროვნად არ მუშაობენ რაიონის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქმედი სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოები. მათი უმრავლესობა მუშაობს ინერტულად, უინიციატივოდ, ფორმალურად. დასაგმობია ის ფაქტიც, რომ ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიცაა კოდისა და თეთრი წყაროს მეფრინველეობის ფაბრიკები და ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მანგლისის ფილიალი, დღემდე არ არის შექმნილი სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოები.

ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების, ქალთა საბჭოების, სამედიცინო და კულტურის დაწესებულებებთან არსებული საბჭოების, მშობელთა და სახლის კომიტეტების საქმიანობა. აღნიშნულ საზოგადოებრივ ფორმირებათა უმრავლესობა აქტიურად არ მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში, იმ აღმზრდელობით, პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ მუშაობაში, რომელიც ტარდება რაიონის მოსახლეობაში.

სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საქმიანობაშიც. ისინი ჯერ კიდევ არასაკმარისად აკოორდინირებენ და წარმართავენ საზოგადოებრივ ფორმირებათა ერთობლივ მეცადინეობას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში.

განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ თეთრი წყაროს საქალაქო, კოდისა და წინწყაროს სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე მოქმედი წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები, რომელთა საქმიანობა სამართალდარღვევებთან ბრძოლისათვის მოკლებულია გეგმაზომიერებას, მიზანმიმართულებასა და შეტევითობას; საჭირო ყურადღება არ ექცევა სამართალდარღვევათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა-აღმოფხვრას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები არასაკმარისად ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივ ფორმირებათა მუშაობას, იშვიათად ისმენენ მათ ხელმძღვანელთა ანგარიშებს საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ფორმირებათა მუშაობის კოორდინაციას საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებთან, სუსტად აკონტროლებენ მათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობას, არ უქმნიან სათანადო პირობებს ნორმალური მუშაობისათვის, ნაკლებად ზრუნავენ მათ ხელმძღვანელთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებლად, არ იღებენ ეფექტიან ზომებს მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება-გავრცელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, მოქმედი კანონმდებლობიდან და სადირექტივო ორგანოების შესაბამისი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც გამიზნულია სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განსავითარებლად, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მშრომელთა ფართოდ მისაზიდად, შეიმუშაონ და განახორციელონ სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა აცდენაში საზოგადოებრივ ფორმირებათა აქტიურობისა და როლის ამაღლების დამატებითი ღონისძიებანი.

ამ მიზნით:

— მიიღოს გადამწყვეტი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— მომავალშიც დაბეჯითებით ეძიოს და დანერგოს საზოგადოებრივი ფორმირებებისადმი ხელმძღვანელობის ყველაზე ქმედითი და ეფექტიანი ფორმები და მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათი შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას, მშრომელებთან კავშირის განმტკიცებას, საზოგადოებრიობის როლის გაძლიერებას შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, ყოველგვარი სახის ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში;

— სისტემატურად გააანალიზოს და საბჭოების სესიების, აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, აღმასკომებთან არსებული კომისიების სხდომების განსახილველად შეიტანოს საზოგადოებრივ ფორმირებათა საქმიანობის სრულყოფის საკითხები, განავრცოს და გააფართოოს წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოებისა და სხვა საზოგადოებრივ ფორმირებათა ხელმძღვანელების რეგულარული ანგარიშგების პრაქტიკა მათ ამრჩევ შრომით კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დანერგოს პრაქტიკაში ყოველწლიურად სხვადასხვა დათვალიერების, შეკრებების, სემინარ-თათბირებისა და სხვა ორგანიზაციულ ღონისძიებათა ჩატარება, რომლებზეც შეაჯამოს საზოგადოებრივ ფორმირებათა მიერ გაწეული მუშაობის შედეგები, და ზუსტად, კონკრეტულად და პრინციპულად განსაზღვროს მათი სამომავლო ამოცანები;

